ბოლნისის მუნიციპალიტეტი

საპროექტო მომსახურების შესყიდვა
კონკურსის მეშვეობით

<u>ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა</u>

ქ. ბოლნისი

2015 წ

სარჩევი

საკონკურსო განცხადება ---------- 3-6 გვერდი

ტექნიკური დავალება---------- 7 გვერდი

ხელშეკრულების პროექტი ---------- 8-10 გვერდი

არსებულის ფოტოფიქსაცია ---------- 11-15 გვერდი

არსებული კედლის გაშლა ---------- 16 გვერდი

საკონკურსო განცხადება

1. **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** აცხადებს კონკურსს არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე **(ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა)** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. **კონკურსის მიზანს წარმოადგენს:**
   2.1 ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა;

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს, დ.ღ.გ-ს გარეშე. (იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული კონკურსანტი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგენს ცნობას შემოსავლების სამსახურიდან დ.ღ.გ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებულ იქნება მის მიერ საკონკურსო ფასით დაფიქსირებული ფასის შესაბამისი დ.ღ.გ.) (შემოსავლების სამსახურიდან გაცემული ზემოაღნიშნული ცნობა გაცემული უნდა იყოს -- კონკრეტული კონკურსის წინადადების მიღების დაწყებიდან (2015 წლის 18 მაისი) -- ხელშეკრულების გაფორმების დღემდე პერიოდში).

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://prokurement.gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო განცხადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 და მე-5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს საკონკურსო კომისია.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება **2015 წლის 18 მაისს 10 საათზე.**

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება **2015 წლის 18 მაისს 18 საათზე.**

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 18 მაისის 10 საათიდან -- 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.ბოლნისი,ს.ს.ორბელიანის ქ. №106.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ (საკონკურსო განცხადების 20 და 21-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით), მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე,წარმოდგენიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში.

14. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

15. **კონკურსანტის საკონკურსო წინადადება უნდა შედგებოდეს:**

ა) საკონკურსო წინადადების ფასისაგან (ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარში)).

ბ) განმარტებითი ბარათი, გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია (გეგმარებითი გადაწყვეტა); ვიზუალიზაცია; (ნახაზები წარმოდგენილ იყოს 100 ან 50 მაშტაბში, საპრეზენტაციო მასალები წარმოდგენილ იქნას მინიმუმ A-2 ფორმატზე, ელექტრონული ვერსიით CD დისკზე;

გ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ვადის შესახებ;

ე) რეკვიზიტები.

ვ) ინფორმაცია საპროექტო მომსახურების შესრულების გამოცდილების შესახებ.

ზ) მე-15 მუხლის ა)--ვ) პუნქტებიდან ერთერთის არწარმოდგენის ან/და არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინდადებები არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადება,რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

ა) არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: **კოეფიციენტი-0,7**

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი: **კოეფიციენტი-0,2**

გ) გამოცდილება საპროექტო მომსახურების შესრულებაში **კოეფიციენტი-0,1**

დ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

ე) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. (ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა).

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 30(ოცდაათი) დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების წარმოდგენა.

20. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

20,1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში (საკონკურსო განცხადების მე-19 მუხლი) მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტის სრულ ვერსიას, საკონკურსო განცხადებისა და პირობების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაზედაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

20,2 წარმოდგენილ პროექტს, საკონკურსო განცხადების 21-ე მუხლში დამდგარი საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით აგზავნის ექსპერტიზაზე, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად თუ პროექტი საჭიროებს კორექტირებას, შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს დაკორექტირებულ პროექტს, რაზედაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება ხელახალი მიღება-ჩაბარების აქტი.

21. ექსპერტიზა

21.1 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება (დამზადებული სრული პროექტი) შემსყიდველის გადაწყვეტილების შემთხვევაში გადაიგზავნება შემსყიდველის მიერ ექსპერტიზაზე.

21.2 21,1 პუნქტში დამდგარი საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს დაფარავს შემსყიდველი.

21.3 21,1 პუნქტში დამდგარი საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მოახდინოს დამზადებულ პროექტში ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში.

6.4 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი საჭიროების შემთხვევაში არ განახორციელებს ტექნიკური დავალების 21,3 პუნქტში გათვალისწინებულ მოთხოვნას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს მომსახურების საბოლოო მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

22. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზებში.

23. საჭიროების შემთხვევაში გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ობიექტების ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

24. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას (4 ეგზემპლრი) თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების სრული კომპლექტი PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7,9მგბ-ს.

25. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ რის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

26. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: *ნიკოლოზ გოგეჩიშვილი: 599859901*- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ტექნიკური დავალება

ქალაქ ბოლნისში დ. აღმაშენებლისა და ს.ს. ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოები

წინა საპროექტო-საძიებო სამუშაოები:

- გეოდეზია;
- გეოლოგია;
- არსებული კედლის მდგრადობის კვლევა.

ძირითადი სამუშაოები:

- არსებული კედლის გამაგრება (კვლევის შესაბამისად);
- საჭიროებისამებრ კედლის გაბარიტის ცვლილება;
- ახალი მხატვრულ-დეკორატიული კედლის მოწყობა, სარეკლამო აბრების განთავსებით;
- ღამის მხატვრული ნათებების მოწყობა.
- სარეაბილიტაციო კედლის გასწვრივ არსებული ტროტუარის რეაბილიტაცია.

საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- თავფურცელს – ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- პროექტის შემადგენლობას;
- განმარტებით ბარათს;
- სამუშაოების მოცულობათა უწყისს და სადეფექტო აქტს;
- არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას;
- ტექნიკურ მაჩვენებლებს.

წინა საპროექტო-საძიებო სამუშაოები:

- გეოლოგიურ დასკვნა.
- ტოპო-გეოდეზიური დოკუმენტაცია;
- არსებული კედლის მდგრადობის კვლევის შედეგები-რეკომენდაციები.

დეკორატიული კედლის მოწყობა:

- საპროექტო გადაწყვეტით კედლის მოწყობის ნახაზებს (ზემოაღნიშნული წარმოდგენილი იქნას კონკურსისათვის დამახასიათებელი, კვალიფიციურად შედგენილი გეგმებით, ჭრილებით, კვანძებით, დღისა და ღამის ვიზუალური ხედებით (რენდერები), შესაბამისი ტექნოლოგიების ჩვენებით, მასალის ტიპის და ხარისხის, მახასიათებელების და განზომილებების ჩვენებით, ტექსტური ნაწილითა და ყველა სათანადო დეტალიზაციებით).

ასევე მუშა პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

- სამუშაოების წინასწარი რესურსული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დოკუმენტაციის მომზადება, ყველა არსებული გადასახადების გათვალისწინებით.
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას ლოკალური ხარჯთაღრიცხვების სახით პროექტის ნაწილების შემადგენლობის შესაბამისად.
- ხარჯთაღრიცხვაში მითითებული იქნას მასალის ხარისხი, განზომილებები და მახასიათებლები.

შენიშვნა:

- საპროექტო ორგანიზაციის მიერ, ობიექტის ადგილზე დეტალური შესწავლით დადგინდეს ზემოჩამოთვლილი სამუშაოების პროექტირებისათვის საჭირო ყველა დეტალი.
- სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნას მის წინადადებაში.
- საპროექტო დოკუმენტაციის მიმდინარეობის პროცესში, ყველა დეტალი შეთანხმებულ იქნას გამგეობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შესაძლოა დაზუსტდეს ან დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულება
კონკურსის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბოლნისი --- ---------- 2015 წელი

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის გოგი მეშველიანის სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის (კონკურსი #----) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ------ (----------) **ლარს**.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ (საკონკურსო განცხადების 20 და 21-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით) 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

3.4. <u>საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.</u>

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3 .შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ---------- (დაინიშნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამსახურის წარდგენის საფუძველზე);

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს **ხელშეკრულების გაფორმებისთანავე** და დაასრულებს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია**

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2 იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი საჭიროების შემთხვევაში არ განახორციელებს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად პროექტის კორექტირებას, იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს მომსახურების საბოლოო მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

6.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

6.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება (დამზადებული სრული პროექტი) საჭიროების შემთხვევაში გადაგზავნოს ექსპერტიზაზე, აანაზღაუროს საექსპერტო მომსახურების ღირებულება.

6.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

6,4.1 გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

6,4.2 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

6.4.3 ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მოახდინოს დამზადებულ პროექტებში ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში.

6.4.4 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს ----------

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.რეკვიზიტები

_____	_____
შემსყიდველი	მიმწოდებელი

არსებული საპროექტო ობიექტის ფოტოფიქსაცია

30

30

30

30

30



არსებული კედლის გაშლა